



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო**



განკარგულება:გ-87. 872406611  
თარიღი:06/03/2024

**განკარგულება №18**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქორეთში მდებარე შენობისა და მასზე დამაგრებული 1939კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.05.31.468) ა(ა)იპ „უზუცეს ქალთა საბჭო“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62 მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს სოფელ ქორეთში მდებარე შენობისა და მასზე დამაგრებული 1939 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (ს/კ - 50.05.31.468) ა(ა)იპ „უზუცეს ქალთა საბჭო“- სთვის (სარეგისტრაციო კოდი - 424611496) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადაცემა.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, აღმაშენებლის ქ. №41)

იოსები ქარუმაშვილი

გამოყენებულია კვალიფიცირი ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე